





1) დედამ 24 კანფეტი იყიდა. 14 კანფეტი საახალწლოდ შეინახა, დანარჩენი კი თავის შვილებს თანაბრად გაუნაწილა. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*


 ა) რამდენი კანფეტი იყიდა დედამ?  
1) 10 კანფეტი      2) 14 კანფეტი      **3) 24 კანფეტი**      4) 38 კანფეტი


 ბ) რამდენი კანფეტი შეინახა დედამ საახალწლოდ?  
1) 10 კანფეტი      **2) 14 კანფეტი**      3) 24 კანფეტი      4) 38 კანფეტი

 გ) რამდენი კანფეტი შეხვდა თითოეულ ბავშვს, თუ დედას 2 შვილი ჰყავს?  
1) 12 კანფეტი      2) 10 კანფეტი      3) 7 კანფეტი      **4) 5 კანფეტი**


2) კოტემ კალენდრის გაკეთება გადაწყვიტა. მან ფურცელზე თორმეტივე თვე ჩამოწერა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი და ასე შემდეგ. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*


 ა) რისი გაკეთება გადაწყვიტა კოტემ?  
1) დღიურის      2) წიგნის      **3) კალენდრის**      4) ნამცხვრის


 ბ) რამდენი თვის დასახელება ჩამოწერა კოტემ ფურცელზე?  
1) ოთხი      2) ექვსი      3) რვა      **4) თორმეტი**

 გ) კოტეს მიერ ფურცელზე ჩამოწერილი სიტყვებიდან რამდენია ისეთი, რომელშიც 6-ზე მეტი ასოა?  
1) ექვსი      **2) შვიდი**      3) რვა      4) ათი

3) ოთხსართულიან სახლში სხვადასხვა სართულზე გია, ლალი, ნოდარი და მაკა ცხოვრობენ. ნოდარი ყველაზე ქვემოთ ცხოვრობს. ლალისა და მაკას ბინებს შორის ერთი სართულია. *პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:*

 ა) რამდენსართულიან სახლში ცხოვრობენ გია, ლალი, ნოდარი და მაკა?  
1) ორსართულიანში      2) სამსართულიანში      **3) ოთხსართულიანში**      4) ხუთსართულიანში

 ბ) რამდენი სართულია ლალისა და მაკას ბინებს შორის?  
**1) ერთი**      2) ორი      3) სამი      4) ოთხი

 გ) რომელ სართულზე ცხოვრობს გია?  
1) პირველ სართულზე      2) მეორე სართულზე      **3) მესამე სართულზე**      4) მეოთხე სართულზე

4) თომამ დაფაზე დაწერა რიცხვი 246, თემომ კი – რიცხვი 254.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რა რიცხვი დაწერა თემომ?  
1) რიცხვი 264      2) რიცხვი 246      3) რიცხვი 245      4) რიცხვი 254

2) ბ) რა რიცხვი დაწერა თომამ?  
1) რიცხვი 264      2) რიცხვი 246      3) რიცხვი 245      4) რიცხვი 254

7) გ) თომას მიერ დაწერილი რიცხვის უახლოესი ათეული უფრო მეტია, თუ თემოს მიერ დაწერილი რიცხვის უახლოესი ათეული?  
1) თომას      2) თემოს      3) ტოლია      4) ამის გაგება შეუძლებელია

5) სამგზავრო მაცივარში ყუთი დევს, ყუთში კი – რვაკილოგრამიანი საზამთრო. ცარიელი ყუთი სამ კილოგრამს იწონის, ხოლო ცარიელი სამგზავრო მაცივარი – ექვს კილოგრამს.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რას იწონის საზამთრო?  
1) სამ კილოგრამს      2) ექვს კილოგრამს      3) რვა კილოგრამს      4) ცხრა კილოგრამს

5) ბ) რას იწონის ცარიელი ყუთი და ცარიელი მაცივარი ერთად?  
1) სამ კილოგრამს      2) ექვს კილოგრამს      3) რვა კილოგრამს      4) ცხრა კილოგრამს

7) გ) რას იწონის სამგზავრო მაცივარი, ყუთი და საზამთრო ერთად?  
1) 9 კილოგრამს      2) 11 კილოგრამს      3) 14 კილოგრამს      4) 17 კილოგრამს

6) კალათში ხილი ეწყო: 8 ვაშლი და 20 ატამი. ბებია ყოველ ჯერზე კალათიდან ორ ვაშლს და ოთხ ატამს იღებდა. მან კალათიდან ხილი რამდენჯერმე ამოიღო.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენი ატამი იღო კალათში?  
1) ოთხი      2) რვა      3) ათი      4) ოცი

2) ბ) რამდენი ვაშლი იღო კალათში?  
1) ოთხი      2) რვა      3) ათი      4) ოცი

5) გ) ყოველ ჯერზე რამდენ ვაშლს და რამდენ ატამს იღებს ბებია კალათიდან?  
1) ორ ვაშლს და ორ ატამს      2) ორ ატამს და ოთხ ვაშლს  
3) ორ ვაშლს და ოთხ ატამს      4) ოთხ ატამს და ერთ ვაშლს

7) დ) რამდენი ცალი ატამი დარჩა კალათში, თუ ვაშლი დარჩა 4 ცალი?  
1) 4 ცალი      2) 8 ცალი      3) 10 ცალი      4) 12 ცალი


 7) ნატალიმ სახლში 12 ფოთოლი მიიტანა. მათგან 4-ის გარდა ყველა ყვითელი აღმოჩნდა. ყვითელი ფოთლებიდან 3-ის გარდა ყველას ყუნწი ჰქონდა. ნატალის მიერ სახლში მიტანილ ფოთლებს შორის რამდენი იყო ისეთი ყვითელი ფოთოლი, რომელსაც ყუნწი ჰქონდა?

1) 12

2) 8

3) 5

4) 3

 8) თუ ქვემოთ მოცემულ რიცხვებს სიტყვებით ჩაწერთ, მაშინ რამდენი მათგანი იქნება ისეთი, რომლის ჩანაწერში ერთ-ერთი ასო მაინც გამეორდება?


11; 12; 13; 14; 15; 16.

1) ერთი

2) ორი

3) სამი

4) ოთხი


 9) თუ გიორგი და თომა თავიანთ ფანქრებს ცარიელ ყუთში ჩააწყობენ, მაშინ ყუთში 15 ფანქარი აღმოჩნდება. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?

1) შესაძლებელია გიორგის 14 ფანქარი ჰქონდეს, თომას კი – 1;

2) შესაძლებელია გიორგის უფრო ცოტა ფანქარი ჰქონდეს, ვიდრე თომას;

3) შესაძლებელია გიორგის ერთით მეტი ფანქარი ჰქონდეს, ვიდრე თომას;

4) შესაძლებელია გიორგის ორით მეტი ფანქარი ჰქონდეს, ვიდრე თომას.

 10) მოსწავლემ რვეულში ოთხი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი ჩაწერა. მათ შორის ერთ-ერთი იყო რიცხვი 3. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?


- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ჯამი შეიძლება იყოს 10-ის ტოლი;
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ჯამი შეიძლება იყოს 10-ზე მეტი;
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ჯამი შეიძლება იყოს 10-ზე ნაკლები.

1) ერთი

2) ორი

3) სამი

4) არცერთი


 11) გიორგის, ლადოს, ნანუკას და დეას წითელი, ლურჯი, შავი და თეთრი ქუდები ახურავთ. ცნობილია, რომ გიორგის არც ლურჯი, არც წითელი და არც შავი ქუდი არ ახურავს, ლადოს კი ლურჯი ქუდი ახურავს. რა ფერის ქუდი ახურავს დეას, თუ ნანუკას შავი ქუდი არ ახურავს?

1) თეთრი

2) წითელი

3) შავი

4) ლურჯი

 12) ნინომ მაღაზიაში თავისი ფულის ნახევარი და კიდევ 3 ლარი დახარჯა. ამის შემდეგ მას 12 ლარი დარჩა. რამდენი ლარი დახარჯა ნინომ?

1) 12 ლარი

2) 15 ლარი

3) 18 ლარი

4) 30 ლარი